# სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 7 (4546) ● 5 აპრილი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


თბილისის 216-ე ბაგა-ბაღი სანიმუშოთა

## ბევრჯერ ვყოფილვარ ამ ბაღში – დღითი დღე უკეთესია



**ამ** საბავშვო დაწესებულებაში ყველაფერი ძალიან ლამაზი, თვალშისაცემი და მშვენიერია. გარეგნული იერ-სახის გარდა, თბილისის 216-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, გამოირჩევა სანიმუშო აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით და პატარე-



ბისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. აქ ცეროდენებს ნამდვილად მოუხარიათ და მშობლებიც უსაზღვროდ კმაყოფილები არიან.

ბაგა-ბაღს სათავეში უდგას გამოცდილი, ენერგიული და უაღრესად კეთილშობილი ქალბატონი – **ანუკი კიწმარიშვილი**, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს ბავშვები და მოწოდებით პედაგოგია. იგი, ბაღს 19 წელიწადია მართავს და ვინ მოთვლის, ამ ხნის მანძილზე, რამდენი თაობა დაუფრთიანებია, რამდენ პატარას დაულოცა გზა სკოლისაკენ.

ქალბატონი ანუკი პროფესიით ინგლისური ენის სპეციალისტია. იგი, 216-ე ბაღში ჯერ მეთოდისტად მუშაობდა, თუმცა, მანამადე იყო გლდანის რაიონის



განათლების განყოფილების კადრების ინსპექტორი. სხვადასხვა წლებში, ასევე იყო სკოლაში პედაგოგი და მე-100 ბაღში აღმზრდელი.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ანუკი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის. იგი, ბუნებით ესთეტია და სურს, რომ მის ირგვლივ, ყველაფერი კოხტად გამოიყურებოდეს, მოწესრიგებული და ჰარმონიული იყოს. ამიტომაც, თავს არ ზოგავს, რათა ბაღში იყოს იდეალური გარემო, კომფორტი და სისუფთავე. დირექტორს მხარში უდგას ბაღის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, ისინი თავდაუზოგავად შრომობენ, რათა პატარებს სასიამოვნო გარემო შეუქმნან. აღსაზრდელებს, დედობრივ მზრუნველობასთან ერთად, შემოქმედებით უნარებსაც უვითარებენ.

216-ე ბაგა-ბაღში სულ 706 აღსაზრდელია, 18 ჯგუფია.წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა და მასში 5 ჯგუფია ჩართული. ხშირად ტარდება ღია გაკვეთილები, ინტეგრირებული მეცადინეობები. ეწყობა**„გასართობი დილა“**, ზეიმები და კონცერტები.

დედის დღესთან დაკავშირებით დიდი ღონისძიება გაიმართა, სადაც პატარებმა თავიანთი ხელით შექმნილი საჩუქრები გადასცეს დედებს. ბაღს ემსახურებიან მუსიკის ჩინებული პედაგოგები, რომლებიც ცუგრუმელებს ხელოვნებას აზიარებენ და ცხოვრებას ულამაზებენ.

ბაგა-ბაღის ეზო ნამდვილად შთამბეჭდავია.მას ამშვენებს სხვადასხვა სათამაშოები და მრავალფეროვანი მწვანე ნარგავები. შენობაში შესვლისთანავე, თვალში მოგხვდებათ შესანიშნავი დიზაინით გაფორმებული ინტერიერი და დერეფნები, რომელსაც ალამაზებს ათასგვარი ყვავილები, თვალსაჩინოებები, ნახატები, აპლიკაციები და სხვადასხვა ნაკეთობები. ეს ყველაფერი კი, აქაური მესვეურების ნახელავია და ამ პროცესში, პედაგოგებთან ერთად, პატარებიც მონაწილეობენ. ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად, მოწესრიგებულია, გარემონტებულია სველი წერტილები, საბავშვო ოთახები, საძინებლები, საკონცერტო დარბაზი და სხვა. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის – **თემურ თორდინავას** დახმარებით, ბევრი რამ გაკეთდა, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა და ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით.

კვება, როგორც სხვა ბაღებში, აქაც იდეალურია, დაცულია კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. აღსაზრდელები გემრიელ კერძებს მიირთმევენ და სრულად იღებენ 1581 კალორიას. დირექტორი კმაყოფილია ბაგა-ბაღების სააგენტოს მუშაობით და მადლობას უხდის ბატონ **თემურ თორდინავას** ნაყოფიერი მუშაობისთვის.



თანამშრომლები გატაცებით, მუხლჩაუხრელად იღვწიან იმისთვის, რომ ბავშვებს მზრუნველობა არ მოაკლონ. ეს საბავშვო დაწესებულება არის მშობლისთვის იმედის და ნუგეშის მომცემი და პატარებისთვის ლამაზი თავშესაფარი. დარწმუნებული ვართ, რომ პატარებს, აქ გატარებული წლები სასიამოვნო მოგონებად დარჩეთ.

ბაღი მუშაობს გუნდური თანამშრომლობის პრინციპით, ყველა თანამშრომელი შესანიშნავად უგებს ერთმანეთს და სუფევს მეგობრული ატმოსფერო.თანამშრომლების გარკვეულმა ნაწილმა გაიარა ტრენინგების კურსი და მიღებული აქვს შესაბამისი სერთიფიკატი.ეს პროცესი, სამომავლოდაც გაგრძელდება.

**ანუკი კიწმარიშვილი**: ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით.ყველა უმაღლესი განათლებით არის.



ვისაც არ ჰქონდა პედაგოგიური განათლება, მათ გადამზადება გაიარეს ილიას უნივერსიტეტში. გვყავს 23 აღმზრდელი და 18 თანაშემწე, რომლებიც დედასავით ზრუნავენ პატარებზე. აქ სულ შემოქმედებითი პროცესია, და ვცდილობთ, პატარებს ვარდისფერი ბავშვობა ჰქონდეთ. მინდა, ბაღის მთლიანი კოლექტივის მიმართ, უდიდესი პატივისცემა გამოვხატო და საჯაროდ ვუთხრა მათ მადლობა, გვერდში დგომისთვის და თავდაუზოგავი შრომისთვის.

ქალბატონი ანუკი, მართლაც არ იშურებს ძალისხმევას, რათა ბაგა-ბაღი იყოს ყოველმხრივ მოწესრიგებული და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მოწინავე.

დირექტორი კმაყოფილია მისი მოადგილის **ნონა სებისკვერაძის**, ფსიქოლოგის **მარიკო ჩინჩალაძის**, ლოგოპედების **ქეთევან კაკაურიძის** და **მირანდა ოთარაშვილის,** სპეცპედაგოგის **ეკა ქართველიშვილის** წარმატებული საქმიანობით.

აღსაზრდელების წარმატებაში დიდი

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

## 43-ე ბაგა-ბაღი პოპულარულია

# ცეროდენები აქ დედობრივი მზრუნველობით იზრდებიან



**ჩვენი** გაზეთის სტუმარია 43-ე ბაგა-ბაღი, რომელიც ერთ-ერთი პრესტიჟულია, ყოველთვის გამოირჩევა სიახლეებით, პატარებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, სანიტარულ-ჰიგიენური წესების ზედმიწევნით დაცვით. შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე, კომფორტი და ესთეტიკური სილამაზე. აქ გეგმიური დასუფთავების გარდა, ყოველ პარასკევს სანიტარული დღეა დანიშნული და განსაკუთრებული დასუფთავება მიმდინარეობს, რაშიც აქტიურად ჩართულია ბაღის ტექნიკური პერსონალი. ბაღში ამჟამად, 337 აღსაზრდელია, სულ 8 ჯგუფია, თუმცა, შარშან 11 იყო. სამწუხაროდ, შენობის ავარიულობის გამო, პატარების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, 2016 წლის სექტემბრიდან,,,**სასკოლო მზაობის''** ჯგუფის 200 ბავშვი გადაიყვანეს მე-7 სკოლის შენობაში, რომლიც 79-ე ბაღის დაქვემდებარებაშია.

ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** გადაწყვეტილებით, 43-ე ბაღის ტერიტორიაზე ახალი ნაგებობის აშენება იგეგმება.

43-ე ბაგა-ბაღს, უკვე ათი წელიწადია წარმატებით ხელმძღვანელობს **ქეთევან ბერიანიძე**. იგი პროფესიით ფილოლოგია და დამთავრებული აქვს თბილისის დედაუნივერსიტეტი. არის ყოფილი მოცეკვავე, ჰყავს შესანიშნავი ოჯახი, 5 შვილი და ორი შვილიშვილი — ბარბარე და ქეთევანი, სულ მალე, მესამე პატარასაც ელოდებიან.

ქალბატონი ქეთევანი არის არამარტო კარგი მენეჯერი, არამედ შესანიშნავი პედაგოგიც. იგი გახლავთ კოლეჯ **„ორიენტირი“**-ს ლექტორი, სადაც სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ საქმიანობას აჩვევს.

**ქეთევან ბერიანიძე**: ბაგა-ბაღების სააგენტოს კარგი მუშაობის შედეგია ის, რომ სკოლამდელი აღზრდის სისტემაში სასურველი მდგომარეობაა. ამიტომაც, გაიზარდა ამ პროფესიის მიმართ მოთხოვნა და ამაღლდა პრესტიჟიც. სტუდენტებს საშუალებას ვაძლევ ჩვენთან გაიარონ პრაქტიკა, გაეცნონ ბაღის სპეციფიკას, შეაფასონ აღმზრდელების საქმიანობა, მიიღონ პროფესიონალების რჩევები, მოგვაწოდონ თავიანთი იდეები და შეხედულებები. ასეთ მიდგომას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი მომავალი აღმზრდელები არიან და აუცილებელია, უფროსი თაობა ღირსეულმა კადრებმა ჩაანაცვლონ.

დირექტორის ინიციატივით, 43-ე ბაგა-ბაღში უკვე ოთხი წელიწადია ტარდება **„დედის კვირეული“**, სადაც მშობლებს საშუალება ეძლევათ მორიგეობით, ერთი დღით იმუშაონ აღმზრდელის თანაშემწედ და უკეთ გაეცნონ ბაღის „შიდა სამზარეულოს“.

ბაღში ხშირად ტარდება ღია გაკვეთილები, შემოქმედებითი ღონისძიებები და სეზონური ზეიმები. აქ ტრადიციულად, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, გრანდიოზული ღონისძიება იმართება და მის მომზადების პროცესში უბნის მოსახლეობაც არის ჩართული, ერთობლივად ასუფთავებენ ტერიტორიას და ემზადებიან ზეიმისთვის.

აღსაზრდელებს ხელოვნების სიყვარულს აზიარებენ და ცხოვრებას უხალისებენ მუსიკის პედაგოგები: **ნანული გოჩიაშვილი** და **ეკატერინე კობახიძე**. ქალბატონი ნანული 50 წელიწადია ბაღში მოღვაწეობს და მრავალი თაობის აღმზრდელია. დიდი მადლობა მას ამისთვის!

ბაღში პატარების ჯანმრთელობა საიმედო ხელშია, მათზე გულთბილად ზრუნავენ ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორები: პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელისაბედ მანჯგალაძე** და ახალგაზრდა მედიცინის მუშაკი **ინგა მჟავია**.

დირექტორი კმაყოფილია მისი მოადგილის **მაკა თოდაძის** და ბაღის მულტიმედიური ჯგუფის მუშაობით. რადგან მათი კოორდინირებული და გუნდური თანამშრომლობა აღმზრდელობით საქმიანობაზე წარმატებით აისახება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **ხათუნა კობერიძის**, ფსიქოლოგ **ლამარა ჯიყაშვილის**, ლოგოპედ **მანანა სალამოვას**, სპეცპედაგოგის **ეკატერინე ბიბილაშვილის**, საქმისმწარმოებელ **ნანა ქურდაძისა** და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ლიდა სამნიაძის** ღვაწლი.

ბავშვებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული **ეკატერინე ქოქიაური** და მისი თანაშემწეები **ნანა ავქოფაშვილი** და **ჯულიეტა ბერიძე**.

**ტატულაშვილი, ლია ორკოდაშვილი, ნინო ყირიმლიშვილი, მზია ხუციშვილი** და **დალი ლეიაშვილი.**

შექებას იმსახურებს ბაღის ტექნიკური პერსონალი:**მზია ციხელაშვილი, ქეთო ბერუაშვილი, მარიამ დაუთაშვილი, ციცინო ქოროღლიშვილი, ლალი თეთრაძე, მაგული ღოღაძე, ნანული ლო-**



დიდი მადლობაბაგა-ბაღის აღმზრდელებს, რომლებიც დედასავით ზრუნავენ პატარებზე, ესენიარიან: **მანანა ბერუაშვილი, მარინე ქავთარაძე, ნინო ღვინიაშვილი, ელეონორა ტალიკაშვილი, ნანი სიჭინავა, მაყვალა კობერიძე, ეკა მაისურაძე** და**რუსუდან მიქელაძე.** მათ გვერდში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **ნათია ბერუაშვილი, ირმა მურჯიკნელი, მანანა სოლომნიშვილი, თამილა ურიდია, ნინო მუჯირიშვილი, ფიქრია გიორგაძე, მაია თურქაძე, ირინე გაგნიძე, მარგალიტა ბაქრაძე, დოდო მთავრიშვილი, ლილი მიაშვილი, ია მჭედლიძე, ბასტი ჯაფაროვი, ზაზანუსხელაძე, ნაზი დაუთაშვილი, მზექალა ბარბაქაძე, არტურ ლეიაშვილი** და**ბესიკ მოსეშვილი** მუხლჩაუხრელად შრომობენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უბნის მაცხოვრებლები და მშობლები კმაყოფილი არიან 43-ე ბაგა-ბაღის მუშაობით და საჯაროდ უხდიან მადლობას ბაღის თითოეულ თანამშრომელს.

ხალისიანი, იმედიანი, უტურფესი გაზაფხულის დადგომას გილოცავთ, 43-ე ბაგა-ბაღელებო!

**მზია გურიელი**

## პირველი გვერდიდან



წვლილი შეაქვს განათლების პროგრამების კოორდინატორს **მაია კიწმარიშვილს**, საქმისმწარმოებლებს **ნიკოლოზ ნაგლაძეს** და **ქეთევან იშხანიშვილს**, ასევე, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორებს **ირმა ბერიძეს** და **ინგა გვანცელაძეს**.

ბაღს ემსახურებიან ჯანმრთელობისა ჰიგიენის კოორდინატორები: **რუსუდან ჩხატარაშვილი** და **ირინე გათენაშვილი**, რომელებიც მკაცრად იცავენ სანიტარულ წესებს და ზრუნავენ პატარების ჯანმრთელობაზე.

216-ე ბაგა-ბაღის კოლექტივის და აღმზრდელების საქმიანობით კმაყოფილიარიან მშობლები და მთლიანად უბანი, რადგანაც იგი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ბაღი საკმაოდ მოთხოვნადია, რადგან სხვადასხვა მიკრორაიონებიდან მოჰყავთ პატარები. აქაურობას, ერთი შეხედვითაც ეტყობა მზრუნველი დიასახლისის ხელი და ამიტომაც არის, რომ ბაღმა არაერთ წარმატებას მიაღწია, იგი დასახელებულია დედაქალაქის, ერთ-ერთ საუკეთესო საბავშვო დაწესებულებად, მიღებული აქვს მრავალი სამადლობელო წერილი.

ხალისიანი, ულამაზესი გაზაფხულის მობრძანებას გილოცავთ და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ, 216-ე ბაგა-ბაღელებო!

**მზია გოგოძე**











თბილისის 61-ე საჯარო სკოლის თვალსაჩინო წარმატებები

# სექტემბერში ახალსახლობას ელოდებიან



**ძნელია** ხიზნობა, მაგრამ ცოდნა, მონდომება სასწაულებს ახდენს ხოლმე. ქართული ანდაზაც – „ხმალსა ნუ სწუნობ სიმოკლით, ფეხი წინ წადგი – მისწვდება!“ – სწორედ ვითარებას ასახავს.

დავაკონკრეტოთ: 2014 წელს დოლიძის ქუჩის №3-ში მდებარე ავარიული 61-ე საჯარო სკოლა დაინგრა და იგი ტექნიკური უნივერსიტეტის VII კორპუსს შეეხიზნა. განათლების სამინისტრომ, წინდაწინ მაქსიმალურად „მოარგო“ კორპუსი სკოლის სპეციფიკას. „ზემოდან“ ზრუნვას „ქვემოდან“ სკოლის დირექციის, პედკოლექტივის მონდომება, დაუღალავი შრომა დახვდა და, სივიწროვის მიუხედავად, სასწავლო პროცესი წუთითაც არ შეფერხებულა.



ამის დასტურად ფაქტები მოვიშველიოთ: სკოლას შარშან ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა: **ელგუჯა ადეიშვილი**, **ელისაბედ შანშიაშვილი** და **სალომე დარასელია**.

სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში 25-მა მოსწავლემ გაიმარჯვა. პირველ ათეულში



მოხვდა და მეორე ტურში გადავიდა 7 მოსწავლე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში – **მარიამ წონკოლაური** (X კლასი) და **ნინო ტაბატაძე** (XII); ინგლისურ ენაში – **ნელი ბობოხიძე**, **თამარ ჭანტურია** და **ანა ნაჭყებია** (XII); ქიმიაში – **ლუკა ბაღდავაძე** (XI); რუსულ ენაში – **გიორგი შარაშენიძე** (XI).

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურში **თამარ ჭანტურია**, **მალხაზ ფანოზიშვილი** და **გიორგი შარაშენიძე** გადავიდნენ.

სკოლაში გაიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ესსების კონკურსი **„შოთა და თანამედროვეობა“**, რაც გენიოსი პოეტის დაბადებიდან 850-ე წლისთავს მიეძღვნა. შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად განათლების სამინისტროში XII კლასელების – **ნინო გეგენავასა** და **ნინო ტაბატაძის** ნაშრომები გაიგზავნა, ასევე გაიგზავნა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების: **ლიზი კაჭარავას** (III$^{1}$), **ელენე კიზირიას** (IV$^{1}$), **საბა ბურჯანაძისა** და **ლუკა მაჩიტაძის** (VIII$^{1}$) ნამუშევრები.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ განათლების სამინისტროს მიერ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების მიზნით გამოცხადებულ ინტერვიუ-რეპორტაჟებში და წარმატებებსაც მიაღწიეს.

სპორტულ ღონისძიებებში ყმაწვილებმა I-II-III გუნდური ადგილები დაიკავეს.

თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ სპორტულ შეჯიბრებებში სკოლამ გუნდური II ადგილი დაიკავა, ხოლო **„კედელზე სირბილში“** – I. სკოლამ გრანტი – 500 ლარი მიიღო. **„ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში“** კი XII კლასის მოსწავლემ, გამომგონებელმა **რ. ჯავახიშვილმა** გაიმარჯვა.

61-ე სკოლა არც ქველმოქმედებას ივიწყებს: აქაურმა მოცეკვავეებმა, მომღერლებმა და დეკლამატორებმა კონცერტი გამართეს და შემოსული თანხა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლს გადაურიცხეს.



სკოლა სისტემატურად თანამშრომლობს ლიტერატურულ თეატრთან, იმართება ექსკურსიები, ხორციელდება ბევრი საინტერესო პროექტი.

ამგვარად დასტურდება, რომ ხიზნობას ხელი არ შეუშლია სკოლის თვალსაჩინო წარმატებებისათვის.

სკოლას სათავეში გამოცდილი, ერუდირებული, საქმეზე შეყვარებული დირექტორი **შორენა ლუდუშაური** უდგას. მისი მოადგილე – **მადონა ბაღდავაძე** ჩინებული სპეციალისტი და ორგანიზატორია, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე კი ცნობილი პედაგოგი **იზოლდა ბენდელიანია**.

დირექციის ძალისხმევას პრაქტიკულად ახორციელებენ სერთიფიცირებული პედაგოგები: **მარინე ნიკოლაიშვილი** (ბიოლოგია), **ნუნუ ნებიერიძე**, **მაკა აბრამიშვილი**, **ია გაგუა** (დაწყებითი), **ანა ლეჟავა** (ინგლისური), **სოფიო ქსოვრელი** (ისტორია), **ნანა გაფრინდაშვილი**, **ქეთევან გიორგაძე**, **ნანა სვანიძე**, **ელისაბედ ჯერენაშვილი**, **მარინე ხუციშვილი** (მათემატიკა), **მანანა დვალი**, **მანანა მამაცაშვილი** (ფიზიკა), **მადონა ძნელაძე**, **მარიამ ჯიჯეიშვილი** (ქართული), **იამზე ბუჩუკური** (ქიმია).

გამოცდილ კოლეგებს ტოლს არ უდებენ დაწყებითი კლასების, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ქართულის, გერმანულის, ინგლისურის, რუსული ენების, მათემატიკის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ქიმიის, ხაზვის, ფიზიკის, ხელოვნების, ძერწვის, სპორტის მასწავლებლები: **ფლორენცია ქორიძე**,**ნინო გელბახიანი**, **ეთერ მიქაბერიძე**, **მარინე გოგიბერიძე**, **ინეზა გაბუნია**, **მზია გელაშვილი**, **ლია გომიაშვილი**, **ნანა ესაკია**, **ნათია თამაზაშვილი**, **სოფიო სახვაძე**, **მზია ლეჟავა**, **ლუიზა მიმინოშვილი**, **თინათინ ჭაბაშვილი**, **ნინო ჟღენტი**, **ლია რუხაძე**, **ნათია თამაზაშვილი**, **ეკატერინე კუსრაშვილი**, **ხათუნა ვარდანიძე**, **ნანი არჯევანიძე**, **თინათინ გზირიშვილი**, **ნინო დოროყვაშვილი**, **ია იაკობაშვილი**, **სოფიო სარალიძე**, **ირინა მამუკაშვილი**, **ნათელა ახვლედიანი**, **ნანული თოფურია**, **ნინო გიორგაძე**, **ელენე ლობჟანიძე**, **ნანა დვალი**, **მარინე მთავრიშვილი**, **მაია ჯაში**, **ლია ობოლაძე**, **ქრისტინა ხაჩატურიანი**, **მარიამ ჯინჭარაძე**, **ლევან წიქარიშვილი**, **გია შანშიაშვილი**, **ლედი მეგრელიშვილი**, **ლია ბაკურაძე**, **იზოლდა ბენდელიანი**, **იზოლდა გედენიძე**, **მარინე გელაძე**, **ეკატერინე მდივანი**, **ნარგიზ სიხარულიძე**, **ნანი აბულაძე**, **რუსუდან იაკობაშვილი**, **მადინა ბაღდავაძე**.



საგნობრივი კათედრების გამართული მუშაობა ხომ ხარისხიანი სწავლების პირდაპირპროპორციულია. ყოველ კათედრას ჩინებული პედაგოგი ხელმძღვანელობს: სახელმწიფო (ანუ – ქართული) ენისას – **ეკატერინე მდივანი**, მათემატიკისას – **ნანა სვანიძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისას – **ფლორენცია ქორიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებისას – **ნინო გიორგაძე**, უცხოური ენებისას – **ლია ობოლაძე**, დაწყებითებისას – **ია გაგუა**, ესთეტიკური აღზრდისას – **რუსიკო იაკობაშვილი**, სპორტისას – **გია შანშიაშვილი**, ტექნოლოგიებისას – **მარინა ხუციშვილი**.

**მარინე ნიკოლაიშვილი** მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ; 1000-ლარიანი ხელფასი აქვს **ია ბუჩუკურს**.



თუ „სხვის კარზე“ 61-ე საჯარო სკოლა ამდენს აღწევს, ცხადია „შინ“ დაბრუნებული გაცილებით მეტს მიაღწევს. ეს დღეც მალე დადგება. დანგრეული სკოლის ადგილზე თანამედროვე სტანდარტების სკოლა შენდება. განათლების სამინისტროს ძალისხმევით, მშენებლობა ოპერატიულად დაიწყო, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და მომავალ სასწავლო წელს 61-ე საჯარო სკოლა ძველ ადგილზე ახალსახლობას იზეიმებს. ამ ზეიმს კი თავის დროზე ჩვენი რედაქციაც მოგილოცავთ.

**კონსტანტინე გურგენიძე**

აკაკი კივილაძის სახელობის საჯარო სკოლაში

# ყურადღების ცენტრშია ცოდნის მაღალი ხარისხი



**ამ** სკოლას წარსულში **„ნდობის სკოლას“**ეძახდნენ. იგი ცნობილი **ელენე** და **სოფიო ბილანიშვილების**სკოლის მემკვიდრეა. დაარსდა 1913 წელს. ჯერ იყო დაწყებითი სკოლა, გიმნაზია, შრომის სკოლა, ქალთა სკოლა და დიდი ხანია **მე-8 საშუალო სკოლად** იწოდება.

მას შემდეგ, რაც სკოლაში დირექტორად დაინიშნა ომგადახდილი, მოწოდებით პედაგოგი, გამოცდილი ენერგიული, შრომისმოყვარე, საქმის ერთგული „კაცური კაცი“ – ბატონი **აკაკი კივილაძე**, სკოლას სხვა



ხიბლი და ბრწყინვალება შეემატა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის სასკოლო შემოქმედებითი კონფერენციები, რომელსაც **მცირე სამეცნიერო შრომის** პრეზენტაცია ჰქონდა.

ამჟამად სკოლა დამსახურებულად ატარებს მისი დიდი მოჭირნახულის ბატონი **აკაკი კივილაძის** სახელს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში კარგად არის ასახული საგნობრივი კათედრების ფუნქციები. შექმნილია 6 საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის – **როზა დაბახიშვილი, ციცინო მაჩაიძე, იზოლდა აბაშიძე, მზია ქორიძე, ნინო ტოკლიკიშვილი, ნათელა დობორჯგინიძე, თამარ გობეჯიშვილი, მაია გოგავა**, უცხოური ენების – **ციალა ღვინიანიძე, მარინე კიკნაძე, ლიანა კოპალიანი, მანანა გოგოლაძე, კონა ქვირია, ნათია მგალობლიშვილი, ლიზა გორგოძე, რუზანა კაპანაძე**, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების – **ნორა კერესელიძე, თამარ მაისურაძე, რუსუდან სალუქვაძე, ნანა ჩუთლაშვილი, ლალი კიკნაძე, ვენერა აკოლაშვილი, მარინე მენთეშაშვილი, ვენერა სეფაშვილი, ნონო ტაველიძე, ეთერ ქადაგიშვილი, თამარ დულაძე, მარინე უხურგუნაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა – **ლუიზა დაუშვილი, მარინე გოდერძიშვილი, ნათია შათირიშვილი, მერი ვარდოშვილი, თეონა მაისურაძე, მაყვალა ნანობაშვილი, ლიკა ხანდოლიშვილი**, დაწყებითი კლასების – **ნანა მამარდაშვილი, ზეინაბ მიხანაშვილი, დარეჯან ჯოჯუა, ლალი გოცაძე, ლალი ლომინეიშვილი, ია მოდებაძე, ლალი პაპოშვილი, თინათინ გოგოლაძე, თეა ახალბედაშვილი, მარინე კახაძე, მზია ლომიძე, მაყვალა ლომაური**, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის – **მაია პატარქალაშვილი, მამუკა მაღლაკელიძე, გულიკო ზაალიშვილი, დოდო გაბესკირია, ნანა გურგენიძე, მზია ხატიაშვილი, დავით ბენიძე**.

**დაწყებითი** კათედრა ნიმუშია თანამშრომლობის, ინოვაციური გზების ძიების. მათ მიერ ჩატარებული ღია თუ სამოდელო გაკვეთილები, კლასგარეშე ღონისძიებები, თანამშრომლობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან ლამაზი და შთამბეჭდავი ღონისძიებებით განსაზღვრავს სკოლის დიდ მომავალს.

**ქართული ენისა და ლიტერატურის** თანამშრომლობა სკოლის ბიბლიოთეკასთან, ერთობლივი ღონისძიებები, ტრადიციად დამკვიდრებული **„ხუთშაბათობა“** დადებით ემოციას იწვევს მოსწავლეებში, მშობლებში, ყველა სტუმარში. დიდი მოწონება და გამოხმაურება გამოიწვია



სკოლის დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს ინიციატივამ **„წიგნის ჩუქების დღის“** დაარსების შესახებ. ტრადიციად დამკვიდრდა II სემესტრის პირველ დღეს ყველა დიდი, პატარა, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, ერთმანეთს ჩუქნიან წიგნებს წარწერით. წლის ბოლოს ჩატარდება კონკურსი **„საუკეთესო წარწერის ავტორი“** და **„იღბლიანი ავტორი“**, გამარჯვებული კი დაჯილდოვდება სკოლის დირექციის მიერ. ასევე, სკოლის დირექტორის ინიციატივით, **„ვეფხისტყაოსნის“** საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, წიგნის საერთაშორისო კითხვის დღეს დაიწყო პოემის ხმამაღალი საჯარო კითხვა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა, დირექციისა და მშობელთა ჩართულობით.

უკვე მზადაა და დედაენის დღეს, 14 აპრილს დაიწყება ხელნაწერი **„ვეფხისტყაოსნის“** შექმნა.

ყურადსაღებია სამოქალაქო განათლების კლუბ **„ქომაგის“** საქმიანობა. შემოქმედებითად მუშაობს სპორტისა და ესთეტიკის კათედრა. სკოლას ჰყავს გამოცდილი და ახალგაზრდა მასწავლებლები, რომლებსაც ერთად ბევრი სიახლე შემოაქვთ სკოლაში. გვყავს **25 უფროსი მასწავლებელი**. პედაგოგთა უმეტესობას ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა. ამ დიდ წარმატებებში ლომის წილი უდევს გამობრძმედილ პედაგოგს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში **როზა დაბახიშვილს**.

მესამე სასწავლო წელია სკოლას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა, ენერგიული, ბავშვებსა და თითოეულ თანამშრომელზე მზრუნველი დირექტორი **თეონა მაისურაძე**. თეონა უცხო ენის პედაგოგია.დიდხანს მუშაობდა მე-10 საჯარო სკოლასა და კერძო სკოლა **„პოლიგლოტში“**. მისი მოსვლისთანავე დაიწყო სასწავლო პროცესში თანამედროვე და ინოვაციური მიდგომების დანერგვა. გამოიკვეთა ეფექტური კომუნიკაცია მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ჩამოყალიბდა სწავლის მოტივაციის ამაღლების სისტემა. ამის შედეგად ხელი შეეწყო ჯანსაღ კონკურენციას, სკოლის ავტორიტეტი გაიზარდა. პირველ კლასში გაორმაგდა მოსწავლეთა რაოდენობა. მშობლები უფრო აქტიურად ერთვებიან სკოლის ცხოვრებაში. მკვეთრად



გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა. სრულად გარემონტდა და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოეწყო სკოლის სააქტო დარბაზი, რესურსოთახი, სკოლის ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, სკოლის ფოიე და 5 საკლასო ოთახი. მკვეთრად გაიზარდა სკოლის წიგნადი ფონდი.

ჩამოყალიბდა ხალხური საკრავებისა და სიმღერების შემსრულებელი ვაჟთა გუნდი. სკოლას ჰყავს საქართველოს სახელით სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოასპარეზე მოსწავლეები: ძმები **უჩა** და **ვაჟა მურადაშვილები**, რაგბისტი **ბექა ყორიაული**. წარმატებული მუსიკოსები: **ეთერ კავლეაშვილი** და **ანა პაიჭაძე** აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ღონისძიებებშიდა გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით.

სასწავლო და შემოქმედებითი ნიჭით გამოირჩევიან მოსწავლეები: **გიორგი გოგავა, ანა რეხვიაშვილი, მაკა დათუნიკაშვილი** და ბევრი სხვა. პერიოდულად ეწყობა მათი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები.

აქტიურად მიმდინარეობს კლასგარეშე საქმიანობა: **ლიტერატურული კითხვა, ლიტერატურული გასამართლება, ვიქტორინები, ინტელექტუალური თამაშები, პოეზიის საღამოები, მიზნობრივი ექსკურსიები**.

მიღწეულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მაღალი დონე. 2015-2016 სასწავლო წელს მედლები დაიმსახურა 6-მა მოსწავლემ: **ანა შენგელიამ, თამარ ქოსაშვილმა, მარიამ ქოსაშვილმა** (ოქრო), **თამარ დარჩიაშვილმა, ნატო არაპიშვილმა, მედეა ბურძენიძემ** (ვერცხლი). მათ წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები და 100%-იანი გრანტებით ჩაირიცხნენ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

შარშან სკოლას ჰყავდა **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** მფლობელი მოსწავლე **ანა თორიაშვილი**.

ორგანიზაცია მოქალაქის მიერ ჩატარებულ სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში **„გახდი მოქალაქე“** სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ **თამარ ქოსაშვილმა** გაიმარჯვა სამივე ტურში, მოხვდა საქართველოს მასშტაბით საუკეთესო ოცეულში, დაჯილდოვდა საპატიო სიგელით, 100 ლარიანი ვაუჩერით ბიბლუსის მაღაზიის ქსელში შეძენისათვის, 1000 ლარიანი ვაუჩერით და საზაფხულო ბანაკის საგზურით.

**მოკლედ, აკაკი კივილაძის სახელობის მე-8 საჯარო სკოლა მუდამ იყო, არის და იქნება გამორჩეული ცოდნის ტაძარი დედაქალაქში, რომლის პედაგოგიც** გარკვეულ პერიოდში მეც გახლდით, ამ წერილის ავტორი.

**რომან მოსეშვილი**





გაიცანით თბილისის 212-ე ბაგა-ბაღი!

# დიდ დიღმელთა მშვენება და სიამაყე



**ღირსების** ორდენის კავალერი, ქალბატონი **ნინო კალანდაძე** წლებია 212-ე ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს. პირველი კლასიკური გიმნაზია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. 28 წლის იყო, როცა პირველად მმართველად დანიშნეს ბაღში. 1992 წლიდან დღემდე კი დიდი დიღმის დასახლებაში ბევრი თაობა აღზარდა. 16 წლის განმავლობაში, პარალელურად, ნ.დუმბაძის სახ.კერძო სკოლაშიც მოღვაწეობდა, თანამშრომლობდა



არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ჰყავს ქალ-ვაჟი და მესამე შვილიშვილს ელოდება.

212-ე ბაღში თბილი და კოლეგიალური გარემოა, ჯანსაღი, მოწესრიგებული სიტუაცია, პროფესიონალი, თავიანთ საქმეზე შეყვარებული და ბავშვებზე გადაგებული აღმზრდელ-პედაგოგები. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი დატვირთული და ხალისიანია. პატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება გამოცდილი აღმზრდელების –



**ლალი ფიროშვილის**, **ლიანა დვალიძის**, **თეა გელაშვილის**, **ნანა აფციაურის**, **მზია გაგოშიძის**, **მარინე მელქაძის**, **მზია მჭედლიშვილის**, ასევე, მეორე ცვლის აღმზრდელების – **თინა დავითულიანის**, **ლალი ჯანანაშვილის**, **ლამარა სეხნიაშვილის**, **რიტა თედოზაშვილის** და სხვათა მთავარი მიზანია.

ქებას იმსახურებს აღმზრდელის თანაშემწეების: **ნაზიკო ხალათაშვილის**, **თამარ გიორგაშვილის**, **ხათუნა ჯანანაშვილის**, **ციალა თეთვაძის**, **ნინო დოლიძის**, **ნინო ბიძინაშვილის** და **ლია ჩაკვეტაძის** ნაყოფიერი საქმიანობა.

სტანდარტების შესაბამისად, ყველანაირ მეთოდურ სამუშაოს კეთილსინდისიერად ასრულებს და ახალი პროგრამების დანერგვაში თავისი წვლილი შეაქვს საგ. პროგ. კოორდინატორს **თამარ გეფერიძეს**. ამ რთულ პროცესში ჩართულები არიან და მეტყველებისა თუ დამოუკიდებელი აზროვნების, ასევე, ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობენ: ჯანმრთელობის კოორდინატორი – **იამზე შენგელია**, ლოგოპედი – **ნათია გოგოჭური**, რომელმაც ბევრ ბავშვს დაუხვეწა მეტყველების კულტურა და ფსიქოლოგი **ქეთევან მიქაძე**, იგი ჯგუფებში ბავშვების ქცევას აკვირდება და შემუშავებულ რეკომენდაციებს მშობლებს აცნობს.

თბილისის მერიისა და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ, უკანასკნელ წლებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, საბავშვო ბაღებში კვების რაციონი საგრძნობლად გაუმჯობესდა. სააგენტოს მიერ, გამოყოფილი თითოეული ლარი გეგმაზომიერად იხარჯება და ბავშვამდე მიდის. მშობელს შეუძლია მენიუს ყოველდღიურად გაეცნოს და დღის რაციონი გაიგოს, რომელსაც მზარეული **მარიეტა არდანიანი**, მზარეულის დამხმარეები – **მარიამ ნათობაიძე** და **თამარ სონიშვილი** სთავაზობენ.



დირექტორს თითოეული თანამშრომელი საკუთარი ოჯახის წევრად მიაჩნია, მათ სიხარულსა თუ მწუხარებას იზიარებს და მათგანაც იგივე დამოკიდებულებას იღებს. თავადაც აღნიშნავს, მთავარი ჯანსაღი ურთიერთობებია, ხმის აწევა და მკაცრი ტონი არ მჭირდებაო. დირექტორს მხარში ერთგულად უდგანან – გამოცდილი მოადგილე **ქეთევან კორძახია**, საქმისმწარმოებელი **ხათუნა ჩუბინიძე**, და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **მარიამ ბაწაშვილი**.

ახალი კანონით, ბაგა-ბაღებმა ლიცენზირება უნდა გაიარონ და ამისთვის სერიოზულად ემზადებიან. აქვთ სამედიცინო კაბინეტი, მედიკამენტები, დიდი დარბაზი, სადაც ტარდება აქტივობები, მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილები. ბაღში გამართულ ღონისძიებებზე თვალნათლივ წარმოჩინდება ის დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რასაც ეწევიან მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **თამარ გუგუშვილი** და **ნინო ელიზბარაშვილი**, რომელიც **„ერისიონის“** სოლისტი იყო და დამთავრებული აქვს სუხიშვილების სახელობის სკოლა-სტუდია.

აქ ყველა თავდაუზოგავად შრომობს. ბაღის ჰიგიენასა და სისუფთავეზე ზრუნავენ დამლაგებლები: **ლუიზა გრძელიძე**, **ელდინო ვაშალომიძე**, **ციური წიკლაური** და მრეცხავები: **დარეჯან გობეჯიშვილი**, **მაია ბარამია** და **მალვინა კახიძე**. თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილ ბაღის შენობას სხვაზე ნაკლებად არ უფრთხილდებიან და უვლიან დარაჯები: **აბელ ჯოჯუა** და **ილია კუტალაძე**; მებაღე **ლიანა აგიტიანი**; მუშა **დავით ჯოჯუა**.

**ნინო კალანდაძე:** *„ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ლომის წილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს ჩვენი ბაღი ასე გალამაზებულია. როცა მათ ხარჯთაღრიცხვას დასაბუთებულად წარუდგენ, თუ რა გჭირდება, მაქსიმალურად გიწყობენ ხელს და როცა თანხა გაქვს, საქმეს ადვილად აკეთებ. ყველაფერი მენეჯერზეა დამოკიდებული, როგორ განკარგავს თანხებს. მთელი შენობა მოვაწესრიგეთ, სახურავით დაწყებული, ეზოთი დამთავრებული. წლებია, ასფალტის დაგებას ვითხოვ და მიხარია, რომ ზაფხულში მერიის დახმარებით შეიცვლება მთელი წყალგაყვანილობის სისტემა, დაიგება ასფალტი. ერთი სათამაშო მოედანი უკვე დამონტაჟდა და უსაფრთხოა, მაგრამ ეზო თავისი მოცულობით კიდევ ერთი მოედნის დამონტაჟების შესაძლებლობას იძლევა, რისი დიდი სურვილიც გვაქვს.*

*ბოლო წლებში აბსოლუტურად ყველა ოთახი გარემონტდა, 2-3 წლის წინათ კი – სახურავი; ავტონომიური გათბობა 2000 წლიდან*



*მუშაობს, რაც იმ დროისთვის მხოლოდ ორ ბაღს გვქონდა, შემდეგ, ქვაბი გამოვცვალეთ და გათბობის სისტემაც დავამატეთ. ყოველ სასწავლო წელს განახლებული გარემოთი ვხვდებით. 2010 წელს მერიამ ფასადიც შეგვიღება და მას შემდეგ ნაწილ-ნაწილაც ვაწესრიგებთ. სამზარეულო თანამედროვე*



*ინვენტარით აღიჭურვა, ახალი საცხობი ღუმელი და ბოსტნეულის საჭრელი შევიძინეთ, კარტოფილის საფცქვნელიც უახლოეს დღეებში გვექნება.*

*ამჟამად ბაღში 303 ბავშვია, შვიდი ჯგუფით. ბოლო პერიოდში მოთხოვნილება, მომართვიანობა და ბაღების დატვირთვაც გაიზარდა, რადგან მე-3 და მე-4 მკ.რ.-ში მშენებლობის ბუმია. შესაბამისად, მოსახლეობამაც იმატა. ბატონთემურ თორდინავას რამდენიმეჯერ მივმართე, მდგომარეობა ავუხსენი და მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდი დიღმის ამ ნაწილში კიდევ ერთი ბაღი აშენდეს“.*

212-ე ბაგა-ბაღში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ყველა ჯგუფში ახალი პროგრამით მიდის. უფროს ჯგუფებში **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა ხორციელდება.წელს კიდევ ერთი, საინტერესო სიახლე დაინერგა. ეს არის **გარემოს დაცვითი განათლება**. ტარდება აქტივობები, გაზაფხულისა და შემოდგომის გაცილება, უფროსი ჯგუფების დამშვიდობება, საახალწლო კარნავალი, ეს ყველაფერი ბავშვებზეა მორგებული და მათთვის სახალისო გარემოში მიმდინარეობს – ცეკვებითა და სიმღერებითაა დატვირთული. ეს ხომ ყველაფერი ბავშვთა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ემსახურება. ხვალ უფრო დიდებული იქნება ცეროდენების ეს ზღაპრული სამყარო, ხალისიანი, იმედიანი გაზაფხულის მობრძანებას გილოცავთ, 212-ე ბაგა-ბაღელებო!

**ნათია დადეშელი**



# გილოცავთ იუბილეს!

**ინგლისური კერძო სკოლა „ნინო“ — 25**

# ნოვატორმა პედაგოგებმა ევროსტანდარტები გაითავისეს



**შარშან**, ამ დროს, ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების კერძო სკოლა **„ნინოს“** წარმატებებს სტატია ვუძღვენით სათაურით **„ევროპულ სიმაღლეებს იპყრობენ“**. მაშინ სკოლის დირექტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი **ლამარა ქოქიაური** შეგვპირდა: გაისად **„ნინოს“** 25 წლის იუბილეს უფრო წარმატებული და გამარჯვებული შევხვდებითო. და სიტყვა საქმედ აქცია.

ახლა კი გთავაზობთ დირექტორთან ინტერვიუს შინაარსს, რომლის სათაურია **„ნოვატორმა პედაგოგებმა ევროსტანდარტები გაითავისეს“**. ოცდახუთი წელია აქ მუდამ ძლიერი მასწავლებლები მოღვაწეობენ და მაღალ შედეგებზე არიან ორიენტირებულნი. 25 წელი დროის მცირე მონაკვეთია. მაგრამ აქ იმდენი საქმე გაკეთდა, იმდენი სიახლე დაინერგა, რომ... სჯობს ყველაფერი ამის შესახებ დირექტორთან საუბრიდან შევიტყოთ.

***

**ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინო“ 25 წლის პირველი ავტორიზებული, კერძო სკოლაა საქართველოში.** იგი ზრდის ინტელექტუალურ, ზნეწმინდა, განათლებულ, შრომისმოყვარე, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მამულიშვილებს. სკოლას აქვს უკვე ჩამოყალიბებული, საერთო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო ბაზა, საკუთარი შენობა, ბავშვთა საცურაო აუზი, სპორტული მოედანი, თანამედროვე საინფორმაციო – ტექნოლოგიები და საბუნებისმეტყველო საგნების – **ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის** ლაბორატორიები, **მდიდარი წიგნადი ფონდი, კეთილმოწყობილი, დახურული ეზო** და ა. შ.

რაც მთავარია, სკოლის მეოთხედი საუკუნის წარმატებების საფუძველია უმაღლესი პროფესიონალიზმის მქონე სერთიფიცირებული პედაგოგები.

სკოლის წარმატებების საიდუმლოა:ბავშვების უსაზღვრო სიყვარული, მოვალეობებისადმი სრული პასუხისმგებლობით მიდგომა, ურთიერთგატანის, სიკეთის კეთების დიდი ნიჭი და უნარი. სწორედ ამიტომ შეარქვეს ჩვენს სკოლას მოსწავლეებმა, მშობლებმა, საზოგადოებამ, **„სიყვარულისა და სიკეთის სკოლა“**.





მშობლებისათვის მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კურსდამთავრებულების უნივერსიტეტებში ჩაბარებას და მათ შემდგომ შრომითი საქმიანობას. ჩვენი ყველა კურსდამთავრებული სწავლობს, ან დაამთავრა საქართველოს და უცხოეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები. წარმატებული მოსწავლეები იგზავნებიან უცხოეთში.



ინგლისური ენის შესწავლა პირველი კლასიდან იწყება. იგი ყოველდღიური სავალდებულო საგანია, გაძლიერებული, კვირაში 10-საათიანი დატვირთვით. ამდენად, **ინგლისურ ენას** ჩვენი მოსწავლეები ფლობენ **მშობლიური ენის** დონეზე. მესამე კლასიდან ბავშვები რუსული ენის დაუფლებას იწყებენ, ხოლო მეხუთე კლასიდან – **გერმანულის**. სკოლაში სწავლება პროფილური ხასიათისაა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი რვა საატესტატო საგნის (ქართული ენა, ინგლისური ენა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია) გაღრმავებული, ყოველდღიური სწავლებით. გარანტირებულ ცოდნას ვაძლევთ მოსწავლეებს სახელმწიფო ატესტატის მისაღებად და აბიტურიენტებს – უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად. თითოეულ ჯგუფში 15-20 მოსწავლეა.ყველა სკოლადამთავრებული სასახელოდ აგრძელებს სწავლას ჩვენი და საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, სკოლა ამზადებს მოსწავლეებს TOEFEL-ისა და SAT-ის ტესტების ჩასაბარებლად. ინგლისურში მაღალი დონის მოსწავლეები



ფლობენ B2, UPPer – Intermediate და Advaced Level-ს.

**„ნინოს“** ყველა მასწავლებელი სერთიფიცირებულია. აქ სწავლობენ უცხო ქვეყნების მოქალაქეები: **ჩინეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ირანიდან, საბერძნეთიდან, თურქეთიდან და ა. შ. მათთვის გახსნილია ქართული ენის** შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები.

სკოლაში სამსახურით დაკავებული მშობლებისათვის დიდი პოპულარობით სარგებლობს გახანგრძლივებული ჯგუფები საღამოს 7 საათამდე, სათანადო ორჯერადი კვებით; სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და ექიმი; მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვენს სკოლაში **გადასახადის ყველაზე დაბალი განაკვეთია**. დაწესებულია შეღავათები მრავალშვილიანი დედებისა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის; პირველკლასელებს უფასოდ ვურიგებთ სახელმძღვანელოებს; **მე-10, მე-11, მე-12 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეები გათავისუფლებული არიან გადასახადისაგან**; მაღალ კლასებს ბიზნესისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს ასწავლიან ცნობილი ქართველი ეკონომისტები; მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს საცუ-

**გაგრძელება მე-7 გვ.**

მე-6 გვერდიდან

რაო აუზი, მწვრთნელისა და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ; გვემსახურება სასკოლო ავტობუსები.



ვიბრძვით სახელისათვის – **„ცოდნის მიღება რეპეტიტორის გარეშე“**. ამისათვის მაღალი ხარისხის გაკვეთილების ჩატარების გარდა, ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ დამატებით, უფასოდ ტარდება **ინგლისურის**, **ქართულის**, **მათემატიკის** და სხვა დამატებითი გაკვეთილები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დაცვასთან ერთად შემუშავებული გვაქვს საატესტატო საგნებში დამატებითი, ჩვენი სკოლისათვის **„სავალდებულო“** საგაკვეთილო განრიგი, კერძოდ, საატესტატო საგამოცდო დისციპლინები ტარდება ყოველდღე, ე. ი. **ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია** – XI კლასში ტარდება ყოველდღე **მათემატიკა, ქართული, ინგლისური, ისტორია** – XII კლასში, ასევე, ყოველდღე; დამატებითია აგრეთვე **ზოგადი უნარების** ყოველკვირეული ორჯერადი საabitურიენტო გაკვეთილები.

სკოლა განთქმულია მრავალფეროვანი პროექტებით, ექსკურსიებით, შიდა სასკოლო და საერთაშორისო მნიშვნელოვანი თარიღების საზეიმო აღნიშვნით; ბავშვებს უხარიათ სკოლაში მოსვლა, ბედნიერად და ლაღად გრძნობენ თავს.

აი, რა აქტივობებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს: მდიდარი მატერიალური ბაზა საშუალებას აძლევს ჩვენს სკოლას მაღალი ხარისხის **ევროპული სტანდარტების** განათლების მიღებასთან ერთად, მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებდეს: **სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცურვის**, **ფეხბურთის**, **კალათბურთის**, **კარატეს** სექციები, **ჭადრაკის**, **სახვითი ხელოვნების წრეები**, **კლასიკური** და **ხალხური მუსიკის**, **ქართული ცეკვის** სტუდიები. პოპულარულია საქვეყნოდ განთქმული ბავშვთა საესტრადო მუსიკალური ჯგუფი **„ქენდი“**, ბატონი **კახა კუხიანიძის** ხელმძღვანელობით; ცნობილი ქორეოგრაფიული ანსამბლი **„არილი“**, ბატონ **რობერტ ღონღაძის** ხელმძღვანელობით.ყველა ამ სიკეთით ჩვენი სკოლის ბავშვებიც სარგებლობენ.



სისტემატურად ტარდება სასკოლო ინტელექტუალური სახის შეჯიბრებები: **„ვინ უკეთ იცის მათემატიკა“? მხატვრული კითხვის**, **ლიტერატურული საღამოები** და **კონკურსები**. მოწაფეები აქტიურად არიან ჩაბმულები, როგორც შიდა სასკოლო, ისე სარაიონო-საერთაშორისო შემეცნებით და სპორტულ შეჯიბრებებსა და ოლიმპიადებში. ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებები – **ფეხბურთში**, **ჭადრაკში**. გამარჯვებული მოსწავლეები ფასიანი საჩუქრებით და დიპლომებით ჯილდოვდებიან.



სკოლა **„ნინოს“** მოწაფეებმა გაიმარჯვეს **„სამოქალაქო განათლების“** რესპუბლიკურ ოლიმპიადაში; **აკაკიოს ჩუთლაშვილის** სახით სკოლას ჰყავს ევროპის ჩემპიონი ძიუდოში. 80-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა **„კინგსის“**, **„ევერესტის“** და სხვა ოლიმპიადებში, სადაც დიპლომებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ცოდნის ხარისხის კონტროლი ხდება შემაჯამებელი წერების, ყოველთვიური ჩათვლების, შიდა მონიტორინგის ჯგუფის კითხვარების, შიდა სასკოლო საგნობრივი ოლიმპიადებისა და სხვა საშუალებებით.



სკოლა 2016 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ორმა მოსწავლემ: **გვანცა ოქრიაშვილმა** და **გიორგი გულისაშვილმა**.

ჩვენი მოწოდებაა: **„სრულყოფილებისაკენ სწრაფვა“**, დიდი გეგმები გვაქვს. მოსწავლეთა კონტინგენტის, სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გადაუდებლად აუცილებელია შენობის გაფართოება. თბილისის მერიაში წარდგენილი გვაქვს მეოთხე სართულის დაშენების პროექტი, რაც დამტკიცების შემდეგ უახლოეს პერიოდში განხორციელდება. კლასები კიდევ უფრო სასიამოვნოდ მოეწყობა. ჩვენი ოცნებაა – ყველა მოსწავლის მერხზე იდოს ლეპტოპი. ჩემს, როგორც სკოლის დამფუძნებლის გეგმაში შედის მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენა, რათა ტრანსპორტის დაქირავებით მიღებული ზედმეტი ხარჯები აღმოიფხვრას.

ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: სკოლის სიძლიერე მასწავლებლებშია. 25 წლის განმავლობაში ჩვენი ყველა წარმატება, გამარჯვება, მოსწავლეების გასაოცარი ცოდნა, და სიკეთის კეთების უნარი ეს მათი, **„ჩვენი დროის გმირების“**, ნოვატორი პედაგოგების დამსახურებაა. საქართველოს ნებისმიერ სკოლას დაამშვენებდნენ ჩემი სკოლის პედაგოგები: **ნაირა ჩოდრიშვილი, ეკა თითილოკაშვილი, ქეთევან გოგოლაძე,ნანა შონია, მირანდა კიკალიშვილი, ქეთევან გორგაძე, ვიოლა გოგინაშვილი, ავთანდილ ლომსიანიძე, მზია თალიაშვილი, შოთა ფანგანი, ნატო ცხადაძე, გიორგი უთურაშვილი, ჯონი ბოჭორიშვილი, სალომე ბიწაძე, თამილა თამაზაშვილი, ლია ჭავჭავაძე, ეკა ბრელიძე, იზო ნიქაბაძე, ვაჟა გოგინაშვილი, რობერტ ღონღაძე, პანტელეიმონ წულაძე**... სხვანი და სხვანი....

**გმადლობთ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებლებო!**

სიყვარულისა და სიკეთის სკოლა **„ნინო“**-ს მეოთხედი საუკუნის იუბილეს გილოცავთ თქვენი დირექტორი.

**აი, დირექციისა და პედკოლექტივის ურთიერთდაფასების, თანადგომის, კოლეგიალობის საუკეთესო ნიმუში! სადაც ასეთი სიყვარულია, გამარჯვებაც იქ არის.**

**ბორის მიშველაძე,**
**პედაგოგიკის**
**მეცნიერებათა დოქტორი**

**რედაქტორის მინაწერი**: გაზეთ **„სახალხო განათლება+“-ის რედაქცია გულითადად უერთდება თქვენს სიხარულს, გილოცავთ სკოლა „ნინო“-ს 25 წლის იუბილეს, ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, მოსწავლეებო და მასწავლებლებო!**



რა უხარიათ 213-ე ბაგა-ბაღის ცეროდენებს?

# ის, რომ აქ მერცხალჭიკჭიკა გაზაფხულია



**თბილ** და მეგობრულ გარემოში, სიმშვიდესა და სილამაზეში იზრდებიან პატარები თბილისის 213-ე ბაგა-ბაღში. შენობაში შესვლისთანავე მოიხიბლებით, თვალშისაცემია სისუფთავე, ლამაზად გაფორმებული ინტერიერი, მათ შორის, ხელნაკეთი, ულამაზესი თოჯინები, რომლებიც ამავე ბაღის თანამშრომლის **მარინე შენგელიას** ნახელავია.

მასპინძლობა დირექტორმა **ნინო ლომინეიშვილმა** გაგვიწია, რომელიც ძალზე მომხიბვლელი, უაღრესად ერუდირებული და ინტელიგენტი ქალბატონი გახლავთ. ეს ბაღი 25 წელზე მეტია დიდი დიღმის მე-3 მ/რ-ში ფუნქციონირებს და ქალბატონი ნინო აქ თითქმის გახსნის დღიდან მუშაობს. ახალი დასახლება, ახალი ბაღი, ახალგაზრდა კოლექტივი და ბევრი ტკბილი მოგონება. შემდეგ უძრაობის პერიოდი, დევნილები, გაპარტახებული შენობა... ნინო წლების განმავლობაში მეთოდისტი იყო, ერთხანს – ფსიქოლოგი. შარშან კი ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა და საქმეც თავზესაყრელად მოემატა. ქალბატონ ნინოს საოცრად თბილი ურთიერთობა აქვს თანამშრომლებთან. ითვალისწინებს კოლექტივისა და მშობლების აზრს. ყველაფერს აკეთებს უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ბავშვთა დაცულობის უზრუნველსაყოფად. საგრძნობლად მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, შეიცვალა ინვენტარი, შეიძინეს ახალი მეთოდური მასალები. კვების რაციონი უაღრესად მაღალკალორიულია.











ყველაზე მთავარი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესია, მეტყველებისა და დამოუკიდებელი აზროვნების, ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით აღსაზრდელების სკოლისათვის მზადება.



საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მოწონებული სპეციალური პროგრამის მიხედვით, ბაღში არის 5-6 წლიანთა 2 **მზაობის** ჯგუფი. ჩატარდა ტრენინგი, რომელიც ქალბატონმა ნინომ ჯერ კიდევ მეთოდისტად მუშაობის დროს გაიარა და შემდეგ, თავად დაატრენინგა ამ ჯგუფების აღმზრდელები, ბავშვები სამუშაო მასალებს ძალიან კარგად მოერგნენ. წელს მეორედ უწევთ მზაობის გამოსაშვები ჯგუფი.



ჯგუფები დაყოფილია ცენტრებად, რომლებიც ოთახის სხვადასხვა კუთხეშია გადანაწილებული. ახალ, გაწკრიალებულ მაგიდებთან სხვადასხვა ცენტრი ფუნქციონირებს – ზოგან ძერწავენ, ზოგან ხატავენ, ზოგან კუბებით სახლს აშენებენ.



ბაღის ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულნი მშობლები. შემოსასვლელში არის საინფორმაციო დაფები, სადაც კვირის თემა იწერება. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი თემა იყო – ზოოპარკი, გარეული და შინაური ცხოველები, თევზები, ფრინველები, რომლებიც დამზადდა როგორც ჯგუფებში, ასევე მშობლებთან ერთად ოჯახებში. კვირის ბოლოს ჯგუფში მოაწყვეს პატარა **„ზოოპარკი"**, სადაც იყო – სალარო, გამყიდველი, გიდი. წარმოადგინეს ყველა ცხოველი. შემაჯამებელი აქტივობა კი ქალაქის ზოოპარკში ჩატარდა, საიდანაც ბავშვები დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.



გასული კვირის თემა პროფესიები იყო და როცა აღსაზრდელებმა ჩვენი სტუმრობის შესახებ შეიტყვეს, ხელდამშვენებულები დაგვხვდნენ და პროფესია – **ჟურნალისტი** წარმოგვიდგინეს. საგანგებოდ დამზადებული სხვადასხვა ტელევიზიის მიკროფონებით ხელში გვაცნობდნენ **„ინფორმაციებს"**.



ამ ჭერ-ქვეშ, მომავალი თაობის აღზრდას, წლებია ერთმანეთის მხარდამხარ ემსახურება კოლექტივის თითოეული წევრი. განსაკუთრებული მადლიერებით კი ქალბატონი ნინო დირექტორის მოადგილეს – **ნარგიზ წილოსანს** მოიხსენიებს.

იოლი არაა, ერთდროულად 25-30 პატარას მოუარო, მოუალერსო, დედობა გაუწიო. ამ საქმეს წარმატებით ართმევენ თავს – საუკეთესო აღმზრდელები, რომლებიც ყველა ღონისძიების სულისჩამდგმელები და აქტიური მონაწილეები არიან: **ცირა მუსელიანს**, **ლამზირა კობალაძეს**, **რუსუდან აბულაძეს**, **მაგული კორსავას**, **ნელი დოლანაძეს**, **ნანა ჭანტურიძეს**, **ნაირა ზარნაძეს**, **ნინო სულაბერიძეს**, **სოფიო ჭაბუკიანს**, **ნინო ღონლაძეს** (მე-2 ცვლა) – ქება და მადლობა!

აღმზრდელ პედაგოგებს ერთგული თანაშემწეები უდგანან მხარში, რომელთა შრომა მეტად დასაფასებელია: აჭამე, დააძინე, გამოუცვალე, იტირებს – დაუყვავე და კიდევ ვინ მოთვლის. სწორედ ამ ადამიანების შრომა არწმუნებს მშობელს, რომ მისი შვილი საიმედო ხელშია. ესენი არიან: **ცისანა ნარიმანიძე**, **მზევინარ კობალაძე**, **ნინო კაშია**, **ბელა ჭუნაშვილი**, **ნატო ლომჯარია**, **მედეა ლეკვეიშვილი**, **ნათია გორდეზიანი**, **მარინე შენგელია**, **თინათინ ნაკაშიძე**, **ელიკო შეთეკაური**.



ფსიქოლოგი **ინგა ბელქანია** ყველა ბავშვთან ინდივიდუალურად ბევრს მუშაობს. მასზე,

გაგრძელება მე-9 გვ.

მე-8 გვერდიდან

ვინც დახმარებას და სპეციალურ მიდგომას საჭიროებს,



ჰიპერაქტიური და სსმ ბავშვებისათვის სპეცპედაგოგი **ნინო ჯავახიშვილი** ზრუნავს, ხოლო ყველა იმ შემთხვევაში, როცა მშობელი განცხადებით, ან თხოვნით მიმართავს ლოგოპედს, დაუზარლად ერთვება საქმეში



**მაია თურქაძე**. სააგენტოდან, კონკურსის წესით, მაღალი ქულების საფუძველზე, დროებით დანიშნული თანამშრომელია საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **სალომე კევლიშვილი**, მან ენერგიულობით უკვე გამოიჩინა თავი.



**ინგა ბელქანია**, ფსიქოლოგი: „შეიცვალა მიდგომა განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებთან. გავიარეთ ტრენინგი, სადაც გვანახეს გზა მათთან ინდივიდუალური მუშაობისა. მაგალითად, ჰიპერაქტიურ ბავშვებს ვაკვირდებით, ვაწარმოებთ ჩანაწერებს, შემდეგ აღმზრდელთან, ლოგოპედთან, მშობელთან ერთად, ინდივიდუალურ გეგმას ვქმნით არა ისე, როგორც ჩვენ გვინდა, არამედ ისე, როგორც ბავშვს სჭირდება. ძალიან კარგია, რომ დაგვიმატეს სპეცპედაგოგი. მომწონს, რომ სსმ ბავშვების კოლექტივთან და თანატოლებთან ინტეგრაცია ხდება“.

ჩინებული სპეციალისტები არიან: საქმისმწარმოებელი **ნუნუ სიკინჭილაშვილი**, ს/ნ კოორდინატორი **თამილა ალუდაური**, ჯანმრთელობის და ჰიგიენის კოორდინატორი **მაია ჩიკვილაძე**, რომელიც ბაღის დაარსების დღიდან აქ მუშაობს და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, ეხმარება მზარეულებს – აკეთებს კალორაჟს, ბავშვებს უწევს სამედიცინო დახმარებას.



საახალწლო თუ შემოდგომის ზეიმებზე, სპექტაკლებსა თუ ზღაპრის სამყაროში მოგზაურობისას, ცეკვასა და სიმღერაში ამ პატარებს ბადალი არ ჰყავთ. ეს კი მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ნუნუ ბაგალიშვილისა** და **სოფიო სოფრომაძის** დამსახურებაა. კეთილმოწყობილ და ლამაზად მორთულ დარბაზში უკვე წლებია სოფო რიტმიკის გაკვეთილებს ატარებს.

ქათქათა თეთრეული, ფერადფერადი ფარდები, დაკრიალებული ჯგუფები, დერეფნები, სველი წერტილები – ყველაფერი ეს დამლაგებლების: **მაკა ლორიას**, **მაკა დანელიას**, **თამარ გაბისიანის**, **ჟანა ცირდავას**, **გიუნაი მამედოვას** და მრეცხავების – **მაია სამხარაძის**, **ციცინო დვალის**, **ივლიტა ტყეშელაშვილის** დამსახურებაა.

ქალბატონი ნინო აღნიშნავს: მთელი შესაძლებლობით გვეხმარება ქალაქის მერია და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო. ხშირად ტარდება მონიტორინგი, ითვალისწინებენ ჩვენს თხოვნებს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სააგენტოს უფროსს **თემურ თორდინავას**, მის მოადგილეს **ნინო ბურძენიძეს**, ასევე, **ნიკა თოდრაძეს**, კოორდინატორს – **ნინო გრძელიძეს**. ისინი განსაკუთრებულ სამუშაო რეჟიმში არიან, გვეხმარებიან, რომ ბავშვებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემო შევქმნათ. ბაღში ახალი ინვენტარი შევიძინეთ — საწოლები, მაგიდები, ტუალეტებში – კარადები, დერეფნებში – გრძელი სკამები, რომლებზეც ბავშვები მოხერხებულად სხდებიან ტანსაცმლის გამოსაცვლელად“.

სააგენტოდან გამზადებული მენიუ მოდის, რომელსაც კვალიფიციური ექიმ-პედიატრები ადგენენ. მას ნებისმიერ დროს შეუძლია გაეცნოს მშობელი. სამზარეულო უფრო კეთილმოწყობილი გახდა, შეიძინეს ახალი მაგიდები, კონვენციური ღუმელი, ბოსტნეულის საჭრელი, კარტოფილის საფცქვნელი. მზარეულებს შრომა შეუმსუბუქდათ და კერძებიც უფრო გემრიელი და ხარისხიანია. მომწოდებელი კომპანია – **„ელფი“** კეთილსინდისიერად ემსახურებათ, უზრუნველყოფს სრულფასოვანი რაციონის – ხორცის, ქათმის, თევზის და სხვა პროდუქტების მაღალ ხარისხს. უგემრიელეს კერძებს ამზადებენ მზარეული **ზეინაბ პერანიძე** და მზარეულის დამხმარეები – **მზია სოფრომაძე**, **იზოლდა ხუციშვილი**.

ბოლო წლებში დასახლება კიდევ უფრო გაიზარდა და აღსაზრდელთა რაოდენობამაც იმატა. ჯგუფები გადატვირთულია,





მაგრამ სააგენტოს დახმარებით მათთვის საუკეთესო პირობებია შექმნილი დამატებით შემოიტანეს ჭურჭელი, ინვენტარი.



ბაგა-ბაღის ყველა მუშაკმა იცის, რომ მათი შრომა პატარების აღზრდასა და დაცულობას ემსახურება. ამიტომ თავს არ ზოგავენ. ერთგულ თანამშრომლებს შორის უპრიანია მოვიხსენიოთ: **ილარიონ მუსელიანი** და **ჯემალ გაბისიანი** (დარაჯები), **ამირან პერანიძე** (მუშა), **ომარ სირაძე** (მებაღე), **ჯუმბერ დვალი** (მეეზოვე).

ქალბატონი **ნინო ლომინეიშვილისა** და მისი კოლექტივის შემოქმედებითი ფანტაზიისა და ბავშვებამდე სწორად მიტანილი აღზრდის მეთოდების წყალობით, ბაღში ცხოვრება ხალისიანად მიდის. ყოველი თემის დამთავრების შემდეგ, შემაჯამებელი აქტივობები ტარდება, წელიწადში 4-5-ჯერ ეწყობა ღონისძიებები. ცეროდენები მონაწილეობენ ხილისა თუ ყვავილების ფესტივალებში და არც ჯილდოები აკლიათ. **ნინო ლომინეიშვილი** ისეთი ინიციატივიანი, შემოქმედი დირექტორია, რომ მისი ხელმძღვანელობით, ბევრი სასიხარულო სიახლე დაინერგება.





ხალისიანი გაზაფხულის დადგომას გილოცავთ, ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, 213-ე ბაგა-ბაღელებო!

**ნათია გურგენიძე**

მთელი კოლექტივის ძალისხმევით

# აი, ასეთი ბაგა-ბაღი გვაქვს ორხევში



**დასახლება ორხევში** ერთადერთი ბაგა-ბაღია. ადრე ბარაკების უბნად წოდებულ უბანში იყო ერთი მომცრო ბაგა-ბაღი. მერე ის დაინგრა და 1976 წელს ორხევის ცენტრში 76-ე ბაგა-ბაღი აშენდა. ეს ერთადერთობა ძალზე ბევრს ავალებს კოლექტივს – მშობელი სხვაგან ვერსად წაიყვანს შვილს. ამიტომ პედაგოგ-აღმზრდელები თავდადებულად იღვწიან, რათა თითოეულ აღსაზრდელს მაქსიმალური სითბო, ზრუნვა აგემონ. ეს რომ ასე ხდება, ამის დასტურია შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია **„შავნაბადას“** მადლობის სიგელი 2015-2016 სასწავლო წელს წარმატებული მოსწავლეების აღზრდისათვის.



წლეულს კი სკოლაში წამსვლელი 120 ყმაწვილია. ხელოვნების, დრამატული, კულინარიის... ცენტრებში პატარები, შესატყვისად, ხატავენ, ძერწავენ, მსახიობობენ, გოგონები ცხობას სწავლობენ. აქვე ეუფლებიან ქცევის, ეთიკის წესებს. წარმატებით სრულდება საპილოტე პროგრამები: მცენარეები, ცხოველები, გარემო, ვინ წერს, წიგნებს, ჩემი უბანი... და მოდის მადლობის სიგელები.



გემოვნებით გაფორმებული სიგელები გადასცეს **„მხიარულ სტარტებში“** გამარჯვებულთ. აღმზრდელები ცდილობენ ყოველი ბავშვური ინიციატივა, აქტიურობა წაახალისონ.

პატარების აღზრდის ამ კერას სათავეში ქალბატონი **ნატო გაბისიანი** უდგას. მან 1987 წელს დაამთავრა ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობა სოფელ ურავის სკოლაში დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შემდეგ – ქუთაისის რკინიგზის 23-ე სკოლაში. ორიოდე წელია 76-ე ბაგა-ბაღის დირექტორია. შემოქმედი პედაგოგი მუდმივად ცოდნის სრულყოფისაკენ ილტვის, რადგან სრულად გათავისებული აქვს, ქვეყნის მომავალი რომ აზარია. ამის დასტურია სკოლამდელი დაწესებულებების მართვისა და ადმინისტრირების და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სერთიფიკატები. ამიტომაა **ნატო გაბისიანის** პრიორიტეტი აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება. მათ ყოველმხრივ უწყობს ხელს, რომ სათანადო კურსები და ტრეინინგები გაიარონ.

აღმზრდელები: **ნანული ჯავაშვილი, ლია ფუხაშვილი, მანანა გაბელია, მანანა ნანობაშვილი, ეკატერინე ბარბაქაძე, ლალი მღებრიშვილი, მარიამ მიქაძე, ნაზი ტაბლიაშვილი, ნათია ჩიტიაშვილი, ნინო არსოშვილი, ესმა სინჯიკაშვილი, მაია კვერნაძე, ნატო გურგენიძე, ნანა გიუნაშვილი, მანანა გაგუა, თამარ ლეგაშვილი, ფატი მურღულია, ზინაიდა ბურდული, თამარ სიდონაშვილი, თეონა ბურდული**, აღმზრდელის თანაშემწეები: **ნელი მაქაძე, ნათია ციხელაშვილი, მაია მათიაშვილი, მარიჯან მუმლაძე, მარინე ბეჟანიშვილი, ირმა გიუნაშვილი, დარეჯან გაბრიელაშვილი, ზოია მეხაშიშვილი, ციცინო შარვაძე, ნინო კოტორაშვილი, მზია რევაზიშვილი, მაია გოგოლაძე, ლალი ქართველიშვილი, ვერა სინჯიკაშვილი**, შემოქმედებითი მიდგომით, დირექტორის, მისი მოადგილის **მაია მაყიშვილის**, მეთოდისტის **ნინო მექვაბიშვილის** ხელმძღვანელობით ქმნიან ისეთ ჯანსაღ გარემოს, რომელშიც ცხოვრებისათვის აუცილებლად უნდა ემზადებოდნენ პატარები.

ასეთი გარემოს შექმნაში დიდი წვლილი შეაქვს სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს **მანანა გურგენიძეს**, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც დროულად და ხარისხიანად არის ყველაფრით უზრუნველყოფილი ბაღის მეურნეობა.

ყველა საბუთი სათანადო წესრიგში აქვთ საქმისმწარმოებელ **ქეთი ავაზაშვილსა** და მის თანაშემწეს **თინათინ ივანიშვილს**; ბავშვების ჯანმრთელობის სადარაჯოზეა სამედიცინო ნაწილის კოორდინატორი **მარიამ ცერცვაძე**; დამლაგებელი **თამარ ზურაბიშვილი** და მრეცხავები:



**ოლია განთაძე, ნონა ეპიტაშვილი, მანანა ბუთურიშვილი, იზოლდა დიაკონიძე, დარიკო ჟიჟიაშვილი, ანა ვეკუა** და **ჟუჟუნა ტერტეროვი** დღენიადაგ ზრუნავენ სისუფთავისა და ჰიგიენისთვის; დარაჯები **როსტომ საათაშვილი** და **რომან ხარაბაძე** ბაღში უსაფრთხო გარემოს იცავენ; მუშა **კარლო თეთრაძე** მზად არის ნებისმიერი ხარვეზის გამოსასწორებლად; მებაღე **ირმა ჩიხრაძე** ნარგავებს ახარებს და ცეროდენებსაც აყვარებს მცენარეებს; ყუათიანი, გემრიელი კერძებით უმასპინძლდებიან პატარებს მზარეული **მარგალიტა სხილაძე**, მისი თანაშემწეები: **ლალი ქართველიშვილი** და **მზია გელაშვილი**.



ქალბატონი ნატო აღნიშნავს, რომ კვება არაჩვეულებრივია. პროდუქტები ეკოლოგიურად სალი, ბავშვების ასაკის შესაფერისია და ამას თაობებში ჩადებულ ჯანმრთელობის კოდს უწოდებს, რაც ბაგა-ბაღების სააგენტოს (დირექტორი – **თემურ თორდინავა**) დამსახურებაა. მერიას, სააგენტოს, მშობლები და ბაგა-ბაღის თანამშრომლები ძალიან ემადლიერებიან. მალე სათანადო დაფინანსებით შენობის ფასადი, სპორტული დარბაზი შეკეთდება და კანალიზაციაც მოწესრიგდება.

ბავშვების ესთეტიკურ აღზრდას გატაცებით ემსახურებიან ცეკვის მასწავლებლები: **ირმა ახვლედიანი** და **თეა გორელიშვილი**.



მეთოდისტის ხელმძღვანელობით, ყველა ბავშვთან, განსაკუთრებით კი სპეციალური განათლების საჭიროების მქონე პატარებთან ბევრს მუშაობს მულტიდისციპლინარული ჯგუფი: ლოგოპედი **ლელა მასხულია**, სპეციალური პედაგოგი **ანა ბოლქვაძე**, ფსიქოლოგი **მარიამ ჩიბუხაშვილი**, მშობლებთან ერთად, შემუშავებულია ასეთ ბავშვებთან მუშაობის მოკლე და გრძელვადიანი პროგრამები.



ამაში ჩართულია ბავშვის ექიმიც და მუშაობა მისი დასკვნების საფუძველზეც წარიმართება.

**„სასკოლო მზაობის პროექტის“** შესაბამისად, კომპლექსურად, მშობლების ჩართულობით, მოწმდება, რამდენად არიან მზად ბავშვები პირველ კლასში შესასვლელად. მოკლედ, აქ ყველაფერი კეთდება პატარების ცხოვრებისთვის მოსამზადებლად.

წლეულს სააგენტომ ორჯერ კომპლექსურად შეამოწმა 76-ე ბაგა-ბაღი და ორჯერვე დადებითი დასკვნა დადო.

აი, ასეთი ბაგა-ბაღი აქვთ ცეროდენებს ორხევში.

**კოტე სარალიძე**

**181-ე ბაგა-ბაღი — მუდმივი წინსვლის გზაზე**

# ცუგრუმელებო, ბედნიერია ბავშვობა თქვენი!

**ახალგაზრდა** მშობლებმა დიდ პედაგოგს ჰკითხეს: რა ასაკიდან დავიწყოთ შვილის აღზრდაო. „რამდენი წლისაა თქვენი პატარა?“ „სამის“. „მაშ, სამი წლით დაგგვიანებიათ“, – იყო პასუხი.

თბილისის 181-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **მანანა მოდებაძე** თავს დიდ პედაგოგად არ მიიჩნევს, მაგრამ სწამს, რომ ბავშვის აღზრდა ადრეული ასაკიდან, უპირველესად, ოჯახში უნდა დაიწყოს, რაც სრული ჭეშმარიტებაა. შემდეგ ესტაფეტას ბაგა-ბაღი იღებს, თუმცა, მშობლებთან ერთობლივი მუშაობა აუცილებელია.მით უფრო, რომ აღზრდაში არსებული ბევრი ნაკლის გამოსწორება სწორედ ბაგა-ბაღს უწევს. ქალბატონ მანანას მტკიცედ სჯერა, რომ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაც ამ, პირველი საფეხურიდან იწყება და 181-ე ბაგა-ბაღის კოლექტივიც ილვწის, რათა პაწიებს ამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარი პირობები შეუქმნას.





**მანანა მოდებაძემ** თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და მაშინვე დაიწყო მუშაობა თბილისის 30-ე სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. მალევე დააწინაურეს დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. შემდეგ ჩუღურეთის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილე იყო.მაგრამ პედაგოგობისთვის თავი არ დაუნებებია. ჩააბარა ასპირანტურაში. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი განათლების დარგის ჭეშმარიტად თვალსაჩინო და თავდადებული მუშაკი ბატონი **ლევან ჩიქვანაია** გახლდათ. ქალბატონი მანანა მადლიერებით აღნიშნავდა: სწორედ ბატონი ლევანის პირადი მაგალითია ის სტიმული, რის გამოც ამჟამადაც განათლების სისტემაში ვარო.

**მანანა მოდებაძემ** მუშაობა თბილისის განათლების სამმართველოში განაგრძო. მეურვეობა-მზრუნველობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. აქ მუშაობის სპეციფიკამ იურისპრუდენციის ცოდნა მოითხოვა და მან საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. 2007 წელს, კონკურსის შედეგად, 181-ე ბაგა-ბაღის დირექტორად დაინიშნა.

მაშინ 8 ჯგუფი ჰყავდათ, ამჟამად – 5-ია. მოთხოვნილება დიდი იყო, გაცილებით მეტიც იქნებოდა, მაგრამ ინფრასტრუქტურა ხელს არ უწყობდათ.

გამწვანებულ ტერიტორიას აშკარად აჩნია მზრუნველი ხელი. ამაზე მეეზოვეები: **სირანა ბეროშვილი** და **ელისო მაჭარაშვილი**, მებაღე **ნაირა მაღალდაძე** ზრუნავენ. ტერიტორიაზე წესრიგს იცავენ დარაჯები: **ლიანა გულიაშვილი** და **რომან კარკაძე**. თავად კორპუსების ინტერიერები ისე ლამაზად, ესთეტიკურად არის გაფორმებული, პატარებს კი არა, ზრდასრულთაც აღაფრთოვანებთ. ეს კი დირექტორის მოადგილე **ნატალია ბერიძის** დამსახურებაა. ირგვლივ გამეფებული სისუფთავე დამლაგებლების: **მარიამ კედელაშვილის**, **სოფიკო პაპიაშვილის**, **თინათინ ნათენაძის**, **მარინა გოგოლაძისა** და **ნინო ქიტუაშვილის** გარჯის შედეგია. ზამთარში გათბობის საკითხს ცეცხლფარეში **ირაკლი კაპანაძე** აგვარებს. სწორი კვება ხომ ჯანმრთელობის საწინდარია. ხარისხიანი პროდუქტებით მომარაგებაში, ბაღის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება-გამდიდრებაში დიდია ბაგა-ბაღების სააგენტოს წვლილი (დირექტორი – **თემურ თორდინავა**). ხარისხიანი პროდუქტები რომ გემრიელ, ყუათიან კერძებად სრულ ჰიგიენურ გარემოში „გარდაიქმნას“, მზარეული **მაშო გურესაშვილი**, მისი თანაშემწეები: **თამარ ბურდული**, **ხათუნა მოდებაძე**, **ნინო პაპუაშვილი** და **დარეჯან გაბაძე**, სამზარეულოს მუშა **მანანა არეშიძე**, ჭურჭლის მრეცხავები: **მარიამ მარიამიძე**, **ნატალია ჩადუნელი**, **თინათინ ბალუაშვილი**, **ნონა აბაიშვილი**, **ნათია ხანდოლიშვილი**, **მანანა ბულაშვილი**, **შორენა სამელია** და **ირინე მიქაბერიძე** ზრუნავენ.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი სიმძიმე აღმზრდელების: **მადონა გერგედავას**, **მანანა თეგეთაშვილის**, **თამარ ჭაბაშვილის**, **მედეა ივანიძის**, **ანა გოგობერიშვილის**, **ლია ნებიერიძის**, **ინგა მარანელის**, **ნინო ყანდაშვილის**, **მარინე უგულავას**, **ეკატერინე ნათენაძის**, **თამილა პაპუნაშვილის**, **ნონა თავაძის**, **ხათუნა მსხილაძის**, **დალი ხანდოლიშვილის**, **ლია რუსიშვილის**, **ეკა მუშკუდიანის**, **ლალი ჭუმბურიძის**, **შორენა ჭუმბურიძის**, **ბელა ბურდულის**, **ნატო აბაშიძის**, **მანანა ბაღდავაძის**, **ნანული გაზაშვილის**, **ნინო შალამბერიძის**, **ქეთევან აბზიანიძის**, **ელისო მათოშვილის**, მათი თანაშემწეების: **ანიკო კაპანაძის**, **ლია ჩიხლაძის**, **თეონა ქვარცხავას**, **გიული ბარნაბიშვილის**, **ნათია ბაგაურის**, **თამარ ჩოფლიანის**, **ქეთევან ღვინაშვილის**, **ნანა კაპანაძის**, **მაია ბაიდაურის**, **ქეთევან ლებანიძის**, **მარიამ ოკინაშვილის**,**ცისმარ გვიმრაძის**, **ნინო ხანდოლიშვილის**, **ხათუნა რამაზაშვილის**, **თამარ ჯამატაშვილის**, **მაკა აბულაშვილის** მხრებზე გადადის. ისინი პრაქტიკულად ახორციელებენ **„სასკოლო მზაობის“** პროგრამას.







ბაგა-ბაღის წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ მნეს – **მარინე კიკილიშვილს**, საქმისმწარმოებლებს: **თამარ ნათენაძეს** და **ნატო ზღაპარაძეს**. ბავშვების ჯანმრთელობა აბარია ექთან **ლენა ირემაძეს**.

პატარებს მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს აზიარებენ გამოცდილი მასწავლებლები: **სალომე თავართქილაძე**, **ნინო წერეთელი** და **ლიანა ტერტეროვა**.

ბაგა-ბაღში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **„სასკოლო მზაობის“** პროგრამას. მეთოდისტ **ლამზირა ფოფხაძის** ხელმძღვანელობით, მიმდინარეობს მუშაობა ბავშვებში სკოლისა და, საზოგადოდ, მომავალი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განსავითარებლად. თემები დაყოფილია კატეგორიებად: **ხელოვნება**, **მუსიკა** და **მოძრაობა**, **სამაგიდო**, **წიგნიერება**, **დრამატული აქტივობები**, **სენსორული**, **მეცნიერება**, **კონსტრუქციები**, დილისა და საღამოს წრეები; ასწავლიან ბავშვებს ქუჩაში მოძრაობის წესებს, აცნობენ მცენარეთა, ცხოველთა სამყაროებს.

მულტიდისციპლინური ჯგუფის სპეციალური მასწავლებლები **თამუნა ფანგანი** და **ქეთევან ბეჟიტაშვილი**, ლოგოპედი **ნინო ჯანეზაშვილი**, ფსიქოლოგი **თეონა ბარკალაია**, მეთოდისტთან, აღმზრდელებთან, მათ თანაშემწეებთან და მშობლებთან ერთად, ბევრს მუშაობენ სპეციალური განათლების საჭიროების ბავშვებთან, ზრუნავენ მათი სოციალური ადაპტაციისთვის.

გვჯერა, 181-ე ბაგა-ბაღი კიდევ მრავალ წარმატებას მიაღწევს ბავშვების სწავლა-აღზრდის რთულ და საპატიო ასპარეზზე.

**კოტე ოდიშელიძე**

თემის გაგრძელება

# ევროსტანდარტების მხარდამხარ



„ევროპული განათლების აკადემიამ“ აკადემიკოს სტეფან დემიანჩუკის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმდინარე სასწავლო წელს მიიღო სტუდენტები ჯანდაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფაკულტეტის ფიზიკური რეაბილიტაციის სპეციალობაზე... ფიზიკურ მედიცინაზე, მის მნიშვნელობასა და გამოყენებაზე სასაუბროდ აკადემიკოს სტეფან დემიანჩუკის, სახელობის საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფაკულტეტის ფიზიკური რეაბილიტაციის მიმართულების ასისტენტ პროფესორს, ქალბატონ თამარ სივსივაძეს ვეწვიეთ...

*– ქალბატონო თამარ, „ევროპული განათლების აკადემია“ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებო კერაა, ცხადია, ახალი ფაკულტეტის მიზანია აღზარდოს და ჩამოაყალიბოს მაღალკვალიფიციური ღირებულებების მქონე სპეციალისტები, მაგრამ უფრო კონკრეტულად აგვიხსენით რას შეისწავლის ფიზიკური მედიცინა ...*

– დიახ, გეთანხმებით უნივერსიტეტის და ამ ფაკულტეტის მიზანია აღზარდოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც ეცოდინებათ ადამიანის ნორმისა და პათოლოგიის შემსწავლელი მეცნიერებების ძირითადი სამედიცინო კონცეფციები მიკრობიოლოგიური და პროფესიული ფაქტორების გავლენის კანონზომიერებების შესახებ, დაავადების მექანიზმის, ინფექციის, იმუნური და მემკვიდრული დაავადების, გადაუდებელი კრიტიკული მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და მართვის საფუძვლების შესახებ. ზოგადად ფიზიკური მედიცინა (ფიზიატრია) მედიცინის ახალი დარგია, მისი მიზანია, ადამიანის ნებისმიერი დაავადების ან ტრავმების დროს რეაბილიტაციურ ღონისძიებებში ჩართოს ფიზიკური ფაქტორები. ბუნების ფიზიკური ძალების ენერგია, რეფორმირებული ფიზიკური ფაქტორები და მოძრაობითი აქტივობა. გარდა ფიზიკური მეთოდებით რეაბილიტაციისა ფიზიკური მედიცინის სპეციალისტი უნდა ერკვეოდეს ავადმყოფთა ზოგადი რეაბილიტაციის სხვა სადღეისოდ არსებულ მიმართულებებში. აქ იგულისხმება დაავადებული ორგანიზმის ფსიქოენერგიული რეზერვების გამოვლენა სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის ფუნქციონირების დარღვევის დროს, მიზანდასახული, დაცვითი-კომპენსატორული მექანიზმების ოპტიმალური ამოქმედება. ყოველივე ამან, ამავე დროს, სხვადასხვა სამკურნალო ღონისძიებების კომპლექსურმა ჩატარებამ ხელი უნდა შეუწყოს დაავადებული ადამიანის ფიზიკურ, სოციალურ მოძლიერებასა და მისი შრომის უნარების აღდგენას.

*– გამოდის, ძალიან დიდი ყოფილა ფიზიკური მედიცინის როლი, განსაკუთრებით რეაბილიტაციის საკითხში ....*

– დიახ, ფიზიკური რეაბილიტაცია ფიზიკური მედიცინის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

*– მაგრამ თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას ასევე წარმოადგენს პაციენტთა უსაფრთხოება... სამკურნალო საშუალებების უმრავლესობას აქვს არასასურველი გვერდითი ეფექტები, ამ კუთხით რა ხდება ფიზიკურ მედიცინაში?*

– გეთანხმებით, მედიკამენტების უმრავლესობას არასასურველი გვერდითი ეფექტები აქვს, მეტიც, ახასიათებს ტოქსიკური ზემოქმედება სხვადასხვა ორგანოებზე, ემბრიოტოქსიური, ტერატოგენული, მოქმედება. პროლანგირებული მოქმედებისას უცნობია მედიკამენტების მოქმედების შორეული ეფექტები. ამიტომ დღეს აქტუალურია პრევენციისა და მკურნალობის ისეთი მეთოდების აქტიური გამოყენება, როგორიცაა ფიზიოთერაპია, კინეზოთერაპია, კურორტოლოგია და რეაბილიტაცია, მათი გაუმჯობესება და აქტიური ჩართვა პაციენტთა ქმედითუნარიანობის შენარჩუნებას და ამაღლებაში, რისთვისაც საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, თანამედროვე სწრაფად განვითარებადი მაღალტექნოლოგიური კვლევისა თუ მკურნალობის საშუალებები და სწრაფად განვითარებადი სამედიცინო ცოდნა.

*– ავადმყოფის სრული რეაბილიტაცია ხანგრძლივი პროცესია. შესაბამისად დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე...*

– და ორგანიზმის ფსიქოფიზიკური დაზიანების ხასიათზე, რეაბილიტაციური ღონისძიებების ეფექტურ ურთიერთ-შენაცვლებაზე, მაგალითად, საავადმყოფოდან საზოგადოებრივ შრომაში აქტიურ ჩართვაზე. ეს პროცესი ასახულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციებში. წარმატებული აღდგენითი ღონისძიებების ჩასატარებლად რეკომენდირებულია სათანადო პროფილის კადრების მომზადება...

*– და სწორედ, ამ პროფილის კადრების აღზრდას ემსახურება ეს ფაკულტეტი....*

– დიახ, ასეა... ასევე, მინდა გითხრათ რეაბილიტაცია სამედიცინო, პროფესიულ-პედაგოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობაა. მისი მიზანია ქრონიკული დაავადებებით დასუსტებულ ავადმყოფებს აღუდგინოს ფიზიკური, მორალურ-ფსიქიკური, პროფესიული და სოციალური უნარები.

*– ავადმყოფთა რეაბილიტაციის ზოგადი პრინციპების ათვისებით სტუდენტი გაერკვევა მიზნობრივი ღონისძიებების ჩატარების თავისებურებაში, გაითვითცნობიერებს მისი პროფესიული დახელოვნებისთვის საჭირო ცოდნის შეძენის აუცილებლობას, უფრო მეტად დაინტერესდება არჩეული პროფესიით, ეს კი საბოლოოდ უზრუნველყოფს რეაბილიტაციური მეთოდოლოგიის უკეთ ათვისებას...*

– არამარტო... სარეაბილიტაციო მკურნალობის საშუალების შესწავლით კურსდამთავრებულს შეეძლება სხვადასხვა სახის ტრავმების პროფილაქტიკა. ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასება, მკურნალობის მეთოდების განსაზღვრა. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება საბაზისო თეორიული ცოდნა ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულებით. თამამად შეეძლება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ექნება კონკრეტული ამოცანის დასმის და მისი გადაწყვეტის უნარი.

*– ამბობთ, სტუდენტები მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში გამოიყენებენო... სად გაივლიან ისინი პრაქტიკას და უმთავრესი კითხვა, სად შეიძლება მათი დასაქმება...*

– „ევროპული განათლებიის აკადემიის“ კონტრაქტორი მხარის აკადემიკოს სტეფან დემიანჩუკის სახელობის საერთაშორისო ეკონომიკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფაკულტეტის ფიზიკური რეაბილიტაციის სტუდენტები სწავლების პერიოდში სასწავლო, საწარმოო და წინა სადიპლომო პრაქტიკას გაივლიან როგორც საქართველოში ასევე, უკრაინის ცნობილ სარეაბილიტაციო ცენტრებში. ფიზიკური რეაბილიტაციის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს მულტიპროფილურ, სპეციალიზირებულ კლინიკებსა და ამბულატორიებში,



სპორტულ გუნდებში, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში.

*– და ბოლოს რას დაამატებდით...*

მინდა მივმართო საქართველოსა და ამიერკავკასიის ახალგაზრდებს, აბიტურიენტებს ესოდენ საჭირო ექიმ-რეაბილიტოლოგის მაღალკვალიფიციური სპეციალობის დასაუფლებლად მოგვმართეთ დროულად, დარეგისტრირდით და მიიღეთ სტეფან დემიანჩუკის სახელობის საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი!

„ევროპული განათლების აკადემია“ გელით!

**მისამართი: თბილისი, მეტრო ახმეტელი (მუხიანის ახალი გზატკეცილი),**

**რ. შენგელიას ქუჩა N7 (ფრესკოს მოპირდაპირე მხარე). ტელ: 592 92 55 92; 574 77 77 72; 598 60 00 10; Facebook: ევროპული განათლების აკადემია www. eeacademy.ge / www. regi.rovno.ua**

**ირმა მებონია**

# პოეტი მშობლიურ სკოლაში

**ამა წლის** 23 მარტს პოეტ **გერმანე საზანოელის** შემოქმედებით საღამოს უმასპინძლა მისმა მშობლიურმა თერჯოლის სოფელ ზედა საზანოს საჯარო სკოლამ. ღონისძიებაზე მოხდა მისი მორიგი პოეტური კრებულის „ლექსის აკვანის“ წარდგენა, ასევე მიულოცეს მწერალთა კავშირის წევრობა. საღამოზე მოწვეულნი იყვნენ პოეტები და მწერლები, აგრეთვე გერმანეს აღმზრდელი, მოქმედი და პენსიონერი პედაგოგები. საღამო გაალამაზეს სკოლასთან არსებულმა ხალხურ საკრავთა გუნდის მოსწავლეებმა. წარმატება ვუსურვოთ პოეტს!



# „კენგურუს“ წარმატებული ნახტომი საქართველოში

**ამას წინათ**, 25 მარტს, მსოფლიოს 75 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში ჩატარდა ყველაზე პრესტიჟული, ყველაზე სახალისო და საინტერესო მათემატიკური კონკურსი **„კენგურუ“**.

ჩვენს ქვეყანაში საქართველოს ყველა რეგიონიდან კონკურსის მონაწილეები ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით თბილისის გარდა გაემგზავრნენ ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ფოთში, გორში, სიღნაღში, ახალციხეში.

საქართველოში ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან სხვადასხვა წამახალისებელი საშუალებებით, მათ შორის, ისინი სხვა ქვეყნების თანატოლებთან ერთად გაემგზავრებიან და იხალისებენ ევროპის ზაფხულის ბანაკებში დასვენებით.

ჩვენი გაზეთი წარმატებებს ულოცავს კონკურსში გამარჯვებულებს და კონკურსის ორგანიზატორს, საქართველოში საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარსა“ და მის ხელმძღვანელობას.

# ნანული შონიას მოსაგონარი



**განათლების** მუშაკთა რიგებს გამოაკლდა აფხაზეთიდან დევნილი ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნანული ილიას ასული შონია**.

იგი დაიბადა 1939 წელს. სო**ხუმის მე-5 სკოლისა** და **პედინსტიტუტის** დამთავრების შემდეგ მუშაობდა **ოჩამჩირის** რაიონის **ახალი კინდღის** საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად, დევნილობის დროს კი – **თბილისში**, გლდანის საღამოს სკოლაში.

გარდა იმისა, რომ იყო ბრწყინვალე მასწავლებელი, **ნანული შონიას** კინდღელები ვიცნობდით, როგორც ზნეკეთილ პიროვნებას, დიდებულ დედას, თანასოფლელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელს, თანამდგომს. „სადაურსა სად წაიყვან?“

მუხთალმა წუთისოფელმა დევნილის ხვედრი, საკუთარი კერიდან თბილისის მუხათგვერდის სასაფლაოზე მუდმივი ბინადრის ბედი არგუნა.

მსუბუქი იყოს მისთვის თბილისის მიწა!

**მეუღლე ზიგფრიდ ხუხუა, შვილები: ნატო და ალეკო ხუხუები, მაზლი ტიტე ხუხუა, სიძეები: ელგუჯა ჩორგოლიანი, ალეკო ჩაფიძე, შვილიშვილები, ნათესავები.**

**კოლეგების და მეგობრების სახელით: ვალტერ სიჭინავა, გიზო გეგეჭკორი, ხიმურ რუხაია, ბორის მიშველაძე, ბორის კვირკველია, გურამ ვაწაძე, ინვერ მესხია, რეზო გაგუა, სვეტა და ჯანი გადელიები, თენგიზ, არჩილ კიკალიშვილები და სხვები.**

**გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 7 (4546)
5 აპრილი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113